ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად (კარატე) სკოლა იყენებს სივრცეს (66.8 კვ.მ), რომელშიც წარმოდგენილია სავარჯიშო ლეიბები, ასევე სკოლამ წარმოადგინა ჭადრაკის სადემონსტრაციო და სამაგიდო დაფები, სკოლას დასაწყობებული აქვს ასევე კრივის ხელთათმანები. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით გასულ წლებში სკოლა სარგებლობდა საცურაო აუზით (წარმოდგენილია ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა 15.06.2022 წლამდეა), თუმცა პანდემიის გამო, ამ ეტაპზე ვერ სთავაზობენ მოსწავლეებს ამ სერვისს. სპორტულ დარბაზს სკოლა იყენებს ცეკვის გაკვეთილების ჩასატარებლად, ასევე სხვადასხვა გამოფენების, სასკოლო ღონისძიებების ჩასატარებლადაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით, • სპორტული ინვენტარის ფლობის დოკუმენტაციით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებულია კლას-კაბინეტში, ლაბორატორიის აღჭურვილობა იქვე, სპეციალურ კარადებშია დასაწყობებული, ხოლო ქიმიური რეაქტივები რკინის სეიფში ინახება. ოთახში დამონტაჟებულია სველი წერტილი, თუმცა გამწოვი კარადა არ არის. ოთახს აქვს ბუნებრივი განათების და განიავების საშუალება. ვიზიტის პერიოდში მოთხოვნისთანავე, დაწესებულებამ უზრუნველყო ლაბორატორიის გამოყენების და უსაფრთხოების წესების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას. ლაბორატორიაში განთავსებულია ერთი პერსონალური კომპიუტერი და პროექტორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ლაბორატორიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ქიმიური რეაქტივების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულება უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი და ცენტრალური გათბობის სისტემით. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა დამატებით იყენებს კლასებში დამონტაჟებულ ელ. ღუმელებს. დაწესებულებას მიეწოდება სასმელი წყალი, დამატებით დამონტაჟებულია დერეფანში წყლის შადრევანი და დისპენსერი. საკლასო ოთახებს აქვთ ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, დერეფნის ბოლოში არის სველი წერტილები ცალ-ცალკე გოგონებისთვის და ვაჟებისთვის, სკოლის პერსონალი სარგებლობს მოსწავლეთათვის განკუთვნილი სველი წერტილებით. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ცხელი წყლით, გამოყოფილია და დაცული პრივატულობა, თუმცა შშმ პირთათვის არ არის სრულად ადაპტირებული .
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ცენტრალური გათბობის მონტაჟის ხელშეკრულება; • გათბობის ქვაბის ფლობის დოკუმენტები; • კომუნალური გადახდის ქვითრები; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკაში, რომელშიც ამავდროულად საინფორმაციო ტექნოლოგიების გაკვეთილებიც ტარდება, მოწყობილია სამკითხველო ზონა (გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ ამ სივრცეს),განთავსებულია თაროებზე თემატურად დალაგებული, საბიბლიოთეკო წესით დამოწმებული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი(1441 წიგნი), განთავსებულია ბიბლიოთეკარის სამუშაო მაგიდა, რომელიც იმავდროულად არის სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილია ორი ქსელში ჩართული კომპიუტერი და პრინტერი. ბიბლიოთეკა საქმიანობას წარმართავს ბიბლიოთეკის შინაგანაწესით, რომლის მიხედვით ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ დღე 10:00-15:00 სთ.-მდე. აღნიშნული დრო ემთხვევა საგაკვეთილო ცხრილს რა დროსაც მოსწავლეებს უტარდებათ საინფორმაციო ტექნოლოგიების გაკვეთილები, შესაბამისად, მიზანშეწონილია ბიბლიოთეკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის გამოიყოს სხვა ალტერნატიული სივრცე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სახელმძღვანელოების შერჩევითი პრინციპით გადამოწმებისას ბიბლიოთეკაში ადგილზე იყო ყველა წიგნი. ბიბლიოთეკარის განმარტებით excell ცხრილში ხდება წიგნადი ფონდის აღრიცხვა და წიგნების გაცემის გატარება. დაწესებულების ბიბლიოთეკაში დაცულია პერიოდიკა, თუმცა სკოლას მიეცა რეკომენდაცია რომ განაახლოს და გაამდიდროს როგორც ლიტერატურით ისე პერიოდიკით არსებული წიგნადი ფონდი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკის შინაგანაწესი; • ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან; • წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით: მიღება-ჩაბარების აქტით , შესყიდვის დოკუმენტებით; • ვიზუალური დათვალიერებით; • ბიბლიოთეკართან ინტერვიუირებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობა, სადაც განთავსებულია სკოლა აღჭურვილია პანდუსით, ფუნქციონირებს ლიფტი, ხოლო სკოლის სარგებლობაში არსებული **სველი წერტილები არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის ,რადგან სველ წერტილის შესასვლელი ვიწროა და საჭიროებს გაფართოებას.** თუმცა, კაბინაში დამონტაჟებულია სპეციალური სახელური.სკოლის წარმომდგენლის განმარტებით, დაწესებულების მფლობელობაში არსებული ფართის სიმცირის და მახასიათებლების გამო ტექნიკურად ამ დრომდე ვერ მოწესრიგდა პრობლემა,ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული საკითხის დარეგულირების მიზნით,გამოიძებნოს ალტერნატიული ფართი. ამ ეტაპზე სკოლაში არ სწავლობს სსსმ და შშმ პირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კერძოდ: ➢ სკოლის ვებ–გვერდები: **www.bagrationi-liceumi.ge;** ➢ **www.nikobagrationi.edupage.org;** ➢ ელექტრონული ფოსტა **nikobagrationi@gmail.com;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	➢ სკოლის მართვის ელექტრონული სისტემა და ელექტრონული ჟურნალი ,,**EduPage**“ ასრულებს საინფორმაციო–საკომუნიკაციო ფუნქციას. ➢ ინტერნეტქსელში ჩართული ჯამში სულ 13 პერსონალური კომპიუტერია, განთავსებული ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის ოთახებში და საბუნებისმეტყველო კლას-ლაბორატორიაში. წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტი. სკოლის ვებ- გვერდზე დატანილი ინფორმაცია საკმაოდ მწირია, არაინფორმატიულია და საჭიროებს განახლებას. დაწესებულების განმარტებით, გაურკვეველ ვითარებაში წაიშალა ვებ-გვერდებზე არსებული ინფორმაცია. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ვებ- გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას დაიცვას პერსონალური მონაცემები, ასახოს ინფორმაცია და პერიოდულად განაახლოს, ხელმისაწვდომი გახადოს სკოლის სხვა სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, ვებ- გვერდის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, განსაზღვროს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი ან/და გაუწიოს მონიტორინგი აღნიშნული ფუნქციის შესრულებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ჰოსტის მომსახურების გადახდის ინვოისი N 183824 • ნასყიდობის ხელშეკრულება ელექტრონული ჟურნალის ერთწლიანი ლიცენზიის შესახებ; • კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები: • სასაქონლო ზედნადებები; • ვებ-გვერდის დათვალიერებით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა გამოვლენილი ხარვეზების შესახებ დათარიღებული 2016 წლით, რომლის თანახმად, სკოლა ვალდებული იყო ფანჯრებზე განთავსებული გისოსები მოეხსნა, სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში დაიწყო სკოლაში არსებულ ფანჯრებზე გისოსების დემონტაჟი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ განხორციელდა საევაკუაციო გეგმების შესაბამისი რაოდენობის ცეცხლმაქრების დამატება (შეძენა) და გადამუხტვა. ჯამში სკოლას აქვს ოთხი ცეცხლმაქრი, შესაბამისი საინფორმაციო პოსტერებით, თვალსაჩინოა გადაუდებელი შემთხვევების დროს აუცილებელი საკომუნიკაციო არხების მონაცემები. თუმცა სკოლას მიეცა რეკომენდაცია თვალსაჩინო ადგილას გამოეკრა ვიდეოგადაღების მაფრთხილებელი ნიშანი და თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები. ასევე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დროულად მოახდინოს რეაგირება შესაბამისი უწყებების მიერ დადგენილ მოთხოვნებზე. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სახანძრო უზრუნველყოფის მექანიზმები, აღნიშნულზე სკოლამ გააკეთა განმარტება, რომ სკოლის დოკუმენტაცია წაიშალა ადმინისტრაციის კომპიუტერებიდან ვიზამდე რამდენიმე დღით ადრე. სკოლის შინაგანაწესში ასახულია ნაწილობრივ სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, თუმცა მნიშვნელოვანია სკოლაში ბრძანებით განსაზღვრული იყოს პასუხისმგებელი პირები და სამოქმედო გეგმა ხანძრის შემთხვევაში. სკოლამ წარმოადგინა შსს საქვეუწყებო დაწესებულების -საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან დადებული მომსახურების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელშეკრულება (18.12.2019) სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა ; • ცეცხლმაქრების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერებით; • შსს საქვეუწყებო დაწესებულების -საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან დადებული მომსახურების ხელშეკრულებით N G39/12; 18.12.2019.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია შსს საქვეუწყებო დაწესებულების -საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შესრულებული საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შსს საქვეუწყებო დაწესებულების -საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან დადებული მომსახურების ხელშეკრულებით.(N23/8-111 02.08.2016); • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში სკოლის განმარტებით დასაქმებულია ექიმი-პედიატრი. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად სკოლის დირექტორის მოადგილის ოთახში განთავსებულია პატარა კარადა, რომლის წამლებით აღჭურვა ვიზიტის დროს განხორციელდა. ექიმთან გასაუბრებით, ის არ აწარმოებს გაწეული დახმარების რეესტრს და ავადობის სტატისტიკას ,რომელიც ხელს შეუწყობს დაგეგმვის ეტაპზე უფრო ნათლად განსაზღვროს სკოლამ უსაფრთხო გარემოს შექმნის სტრატეგიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ამასთან, სკოლა ვერ აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01- 23/ ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს სამედიცინო კაბინეტის მოწყობის და აღჭურვის ნაწილშიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • გასაუბრებით ექიმთან;
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა, ამასთან შენობას რომელშიც განთავსებულია სკოლა მორიგეობენ დაცვის თანამშრომლები (სკოლამ წარმოადგინა 2015 წელს დადებული ხელშეკრულება გრ. რობაქიძის სახ, უნივერსიტეტის რექტორთან, რომლის თანახმად სკოლა იღებს ვალდებულებას ყოველთვიურად გადაიხადოს შენობის დაცვის, ლიფტით სარგებლობის და ეზოს დასუფთავებისთვის საფასური). სკოლის შინაგანაწესით დამტკიცებულია და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ ის ადაპტირებული მუხლები და თავები, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში წესრიგის დაცვის მექანიზმებს. **სკოლის მიერ შემუშავებული წესი არ არის შეთანხმებული კანონმდებლობის შესაბამისად.** სკოლამ აღნიშნა, რომ გაითვალისწინებს ექსპერტების რეკომენდაციას და გააგზავნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საკუთარ წესს შესათანხმებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • ხელშეკრულება დაცვის მომსახურების შესახებ; • თვალსაჩინოდ გამოკრული მორიგეობის განრიგი.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა პერიმეტრზე (დერეფნებში) დამონტაჟებულია 4 ,ხოლო სკოლის გარე პერიმეტრზე 2 ვიდეომეთვალყურეობის კამერა , რომლებიც შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ვიდეო კამერების გამოსახულების მონიტორინგი და ჩაწერა ხორციელდება სკოლის დირექტორთან, კითხვაზე თუ როგორ ხდება ან როგორ რეგულირდება ვიდეო კამერების ადმინისტრირების საკითხი და პერსონალური მონაცემების დაცვა , დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა , რომ დირექტორს აქვს წვდომა ჩანაწერებზე .
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიდეოკამერების ფლობის დოკუმენტაციით; • ვიზუალური დათვალიერებით; • ინტერვიუს შედეგით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებამ წარმოადგინა სანოტარო აქტით დამტკიცებული საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის)კავშირის წესდება (დამტკიცების თარიღი1999წ. პირველი ცვლილება 1995,მეორე ცვლილება 2010წ.)ასევე საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის)კავშირის გამგეობის სხდომის ოქმი N1;18.01.2017 დანართით ,, ნიკო ბაგრატიონის სკოლა ლიცეუმის მმართველობის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები'',რომლის თანახმად, სკოლა-ლიცეუმის უმაღლესი ორგანოა- ნიკო ბაგრატიონის(ბურის) კავშირის საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც განსაზღვრავს სკოლა - ლიცეუმის განვითარების ზოგად მიმართულებებს, ამტკიცებს სკოლა - ლიცეუმის სტრატეგიულ გეგმას, წესდებას და შინაგანაწესს, დირექციასა და პედსაბჭოს შორის უთანხმოების შემთხვევაში განიხილავს საკითხს და გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება, შესაბამისი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე განიხილავს დირექტორის მიერ წარდგენილ საშტატო განრიგს და მისი მონაწილეობით ამტკიცებს მას. სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: სკოლის დირექცია, კანცელარია, პედაგოგიური საბჭო, სამეურნეო ნაწილი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის შინაგანაწესით (დამტკიცებულია საქართველოს ნიკო ბაგრატიონის კავშირის მიერ სხდომის ოქმი N2 ; 03.10.2010; ცვლილება 02.03.2020 წ,) განსაზღვრულია შემდეგი საკითხები : • მასწავლებლის ეთიკის კოდექსი; • მასწავლებლის შერჩევის კრიტერიუმები; • პედაგოგის უფლებები; • პედაგოგის ძირითადი ვალდებულებები; • სამუშაო დრო და ანაზღაურება; • დამრიგებლის მოვალეობები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• დამრიგებლის მუშაობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები; • მოსწავლეთა ქცევის კოდექსი და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები; • მშობელთა უფლებები და მოვალეობები; • სკოლა-ლიცეუმის უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის სახეები; • სასკოლო დისციპლინა, დისციპლინური გადაცდომებზე განხილვის ორგანო; • თანამშრომლების დისციპლინური გადაცდომები და სახდელები; • მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომები და სახდელები; • მოსწავლის სტატუსის შეჩერების პირობები; • მოსწავლის მიღების წესი; სკოლის შინაგანაწესის შესწავლისას სკოლას მიეცა რეკომენდაცია სხვადასხვა დოკუმენტებით დარეგულირებული საკითხები (დამრიგებლის მოვალეობა, მასწავლებლის შერჩევის კრიტერიუმები)გააერთიანოს და კონსოლიდირებული სახე მისცეს, რითაც არ მოხდება სხვადასხვა საკითხების გადაფარვა და ცვლილებებიც ერთნაირად აისახება. სკოლის შინაგანაწესში გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომელიც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაითვალისწინებენ სამომავლო პროექტში, კერძოდ: უნდა გადაიხედოს და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს მასწავლებლის შერჩევის პრინციპები და კრიტერიუმები; დაზუსტდეს თანამშრომელთა შრომის პირობები: ზეგანაკვეთური დრო, შვებულების საკითხები და სხვ. მოსწავლის გადაცდომების და სახდელების საკითხები (მაგ: 9 სთ. და 15 წუთამდე დაგვიანებით სკოლაში მოსული ლიცეანტი I გაკვეთილზე არ დაიშვება; ბ. 9 სთ. და 15 წუთის შემდეგ დაგვიანებით მოსული ლიცეანტი სკოლაში არ დაიშვება მთელი სასწავლო დღის განმავლობაში; ორივე შემთხვევაში გაცდენილი გაკვეთილები იანგარიშება 30 % - იანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაცდენების რაოდენობაში და ჩაითვლება არასაპატიოდ;)აღნიშნული ჩანაწერი უზღუდავს მოსწავლეს მიიღოს განათლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის წესდება; • სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია სკოლის განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა (2017-2023), რომლის მიხედვით, დადგენილია სკოლის განვითარების პრიორიტეტები და სტრატეგიები: თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო -სააღმზრდელო პროცესებისა და სამუშაო გარემოს ორგანიზება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება; სკოლის მართვა და გადაწყვეტილებები; პრიორიტეტები ჩაშლილია ამოცანებად და აქტივობებად, თუმცა არ იკვეთება შესრულების კონკრეტული ვადები, პირები, შესრულების ინდიკატორები, მონიტორინგის სისტემა და სხვ. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ რომელიც 2021-2022 სასწავლო წელს სასწავლო-სააღმზრდელო ღონისძიებების ჩამონათვალს მოიცავს, გაწერილს ვადებში და განმახორციელებლ პირებს. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სკოლის მისიას. მნიშვნელოვანია ,რომ არც ერთწლიან და არც ექვსწლიან გეგმებში არ ჩანს ანალიზის შედეგები და ლოგიკური კავშირი საჭიროებებსა და ინტერვენციებს შორის. სკოლას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სიტუაციური ანალიზის საფუძველზე, დააზუსტოს და განსაზღვროს სტრატეგიულ გეგმაში სკოლის საჭიროებები და პრიორიტეტები, განსაზღვროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გრძელვადიან მიზნები, ასევე ამოცანები, შესრულების ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებელი პირები, დანერგოს და გეგმაში ასახოს გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები; ვინაიდან გრძელვადიანი გეგმის შესრულების პერიოდია 2017-2023წწ, სკოლის განვითარების მდგრადობის მიზნით , ექსპერტების მიერ გაცემულ იქნა რეკომენდაცია,კერძოდ: სკოლამ უკვე დაიწყოს მომავალ სტრატეგიაზე მუშაობა,ხოლო ინტერვიუს გზით შევეცადეთ დაგვედგინა სკოლის განვითარების სამომავლო მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები, აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებამ მომდევნო გრძელვადიან ციკლში პრიორიტეტულ მიმართულებად დაასახელა: სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მუდმივ განვითარება, საკადრო პოლიტიკის გაუმჯობესება და მატერიალური რესურსების განვითარება-ფართის დამატება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; • ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა; • სკოლის ძლიერი და სისტი მხარეების ანალიზი; • ინტერვიუს შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში გახსნილია ბრძანებების წიგნი, მიმდინარეობს შემოსული და გასული კორესპონდენციის , ხელშეკრულების რეგისტრაცია შესაბამის ჟურნალებში, რომელიც დანომრილი და აკინძულია. **სკოლამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი, თუმცა მისი დამტკიცების შესაბამისი ბრძანება არ მოიძებნა.ამასთან, წარმოდგენილი წესის მიხედვით დაწესებულება არ ხელმძღვანელობდა**, შესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაამტკიცოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული საკუთარი საქმისწარმოების წესი და იხელმძღვანელოს ამ წესის მიხედვით.მოსწავლეთა პირადი საქმეების შერჩევითი პრინციპით გადამოწმებისას გამოიკვეთა, რომ **რამდენიმე მოსწავლის პირად საქმეში**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	არ იყო დაცული სკოლის შინაგანაწესით და ასევე კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი: მოსწავლის დაბადების მოწმობის ასლი/დედანი, განცხადება მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ, ექსპერტების მიერ გადამოწმებულ იქნა მოსწავლეთა ჩარიცხვის ბრძანებები და მოსწავლეთა საინფორმაციო სისტემაში ასახვის საკითხი, აღნიშნულით მოსწავლეების ჩარიცხვა დგინდებოდა, სკოლას მიეცა მითითება დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები როგორც მოსწავლეთა ჩარიცხვაზე, ისე პირადი საქმის წარმოებაზე. სკოლის საქმისწარმოება შეთავსებული აქვს სკოლის ბუღალტერს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • საერთო ბრძანებების ჟურნალი; • ხელშეკრულების რეგისტრაციის ჟურნალი;
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	***2.4**. სკოლამ მოაწყოს ადაპტირებული გარემო , კერძოდ სველი წერტილების შესასვლელი ხელმისწავდომი იყოს შშმ პირთათვის;* ***2.6.3** სკოლამ იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01- 23/ ნ ბრძანებით და მოაწყოს სამედიცინო კაბინეტი და დაიცვას ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული პირობების შესრულება;* ***2.6**.4 სკოლამ შეიმუშაოს და კანონმდებლობით შეათანხმოს წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის წესი;* ***2.9.** სკოლამ შეიმუშავოს და დაამტკიცოს საქმისწარმოების წესი.კანონმდებლობის და საკუთარი წესის შესაბამისად იმოქმედოს*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტების შემუშავების, მიღების, დამუშავების , შენახვის და სხვ. დროს.
რჩევები:	• მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მართვის და უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზნით დანერგოს ეფექტიანი სისტემა, გაუწიოს მონიტორინგი აღნიშნულის განხორციელებას; • სკოლამ იხელმძღვანელოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებული სარეკომენდაციო ავტორიზაციის გზამკვლევით , სხვა სერვისებით ავტორიზაციის სტანდარტის პირობების შესრულების მიზნით.
ხარვეზები:	2.4 <u>სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, კერძოდ, სველი წერტილები.</u> <u>2.6. 3 სკოლას არ აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი;</u> <u>2.6.4 სკოლას არ აქვს წესრიგის უზრუნველყოფის მექანიზმი</u> <u>2.9 სკოლაში არ ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმისწარმოება.</u>
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო პროცესის განხორცილების მიზნით, სკოლის საინფორმაციო მართვის სისტემის (emis) მონაცემებით, სკოლაში დასაქმებულია 33 პირი. რომელთაგან 23 მასწავლებელია. 23 მასწავლებლიდან 10 არის უფროსის მასწავლებლის სტატუსით,10 მასწავლებელი სტატუსის გარეშე, ხოლო 3 უსტატუსო მასწავლებელი ასწავლის საგანს რომელიც არ არის ესგ -ით გათვალისწინებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლას ჰყავს სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, დამტკიცებულია სკოლა-ლიცეუმის მმართველობის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, თუმცა დოკუმენტების შესწავლისას გამოიკვეთა განსხვავებები სკოლის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებებს, საშტატო განრიგსა და EMIS ბაზაში ასახულ პერსონალს შორის. მონაცემთა მართვის საინფორმაციო ბაზაში ასახული მონაცემებით სკოლაში დასაქმებულია: • დირექტორი 1 • დირექტორის მოადგილე 2 • ფინანსური მენეჯერი 1 • ბუღალტერი 1 • საინფორმაციო მენეჯერი 1 • სკოლის ექიმი 1 • დამხმარე მასწავლებელი 1 • დამლაგებელი 2 სკოლის მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საშტატო განრიგში არ ფიქსირდება ექიმი, ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება, თუმცა მონაცემთა მართვის საინფორმაციო სისტემაში ექიმზე მონაცემები ასახული იყო. სკოლაში ვიზიტისას გავესაუბრეთ პიროვნებას, ვინც ასრულებდა ექიმის ფუნქციას, მან წარმოადგინა ექიმის დიპლომი და სერტიფიკატები, ზეპირსიტყვიერად აღწერა მისი ფუნქციებიც. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ექიმის საქმიანობის სხვა ამასახველი დოკუმენტი, გარდა ექიმის შრომის წიგნაკის ასლისა, სადაც ჩანს, რომ ის აღნიშნულ სკოლა-ლიცეუმში მუშაობს 2011 წლიდან. სკოლის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებებიდან ირკვევა, რომ სკოლის ბუღალტერს აქვს შეთავსებული საქმის მწარმოებლის ფუნქციაც, ხოლო ისტ. მენეჯერს აქვს ბიბლიოთეკარის ფუნქციაც, ექსპერტები დავინტერესდით, როგორ ანაწილებდა ფუნქციებს და დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ერთი პირი და როგორ ასრულებდა 40 სთ კვირეული დატვირთვის ფარგლებში ორ ფუნქციას თანამშრომელი, რაზედაც სკოლის წარმომადგენელმა აღიშნა, რომ ვინაიდან სკოლა მცირეკონტიგენტიანია, თანამშრომლებს არ უჭირთ მათზე დაკისრებული სხვადასხვა მოვალეობების შესრულება. აღსანიშნავია, რომ თანამშრომელთა სხვადასხვა ფუნქციები არ არის ასახული მართვის საინფორმაციო სისტემაში , ხოლო სკოლის საშტატო განრიგში არ არის წარმოდგენილი ექიმის და ბიბლიოთეკარის შტატი. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი მასწავლებელი ასრულებდა ფსიქოლოგის ფუნქციას, მაგრამ მასთან არც ხელშეკრულებაა ამ საკითხზე გაფორმებული, არც ბაზაშია ეს საქმიანობა ასახული და არც საშტატო განრიგით დასტურდება. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მოიყვანოს წესრიგში საშტატო ნუსხა,მონაცემთა ბაზა და გაუწიოს მონიტორინგი მონაცემების დროულ აღრიცხვას და საკადრო დოკუმენტების მოწესრიგებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საშტატო განრიგი; • მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები; • ხელშეკრულებები; • სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	23
მოწვეული/მაძიებელი	0
უსტატუსო	13
უფროსი მასწავლებლი	10
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულია 23 მასწავლებელი, მათ შორის 10 უფროსი, 13 სტატუსის გარეშე. 10 უფროსი მასწავლებელი ჩართულია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. მასწავლებლების პირად საქმეებში წარმოდგენილია ყველა მასწავლებლის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი, CV, ცნობები ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის **შესახებ.ერთ უსტატუსო მასწავლებელს დიპლომით არ უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაცია.უსტატუსო მასწავლებლების შერჩევა განხორციელდა სასწავლო წლის დასაწყისში კონკურსის გარეშე** და შესაბამისად, პირობა რომელიც მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში საგნის გამოცდის ჩაბარებას და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი გავლას ითვალისწინებს არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებებშიც.უსტატუსო მასწავლებლების დასაქმებული არიან სრულ განაკვეთზე.დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ სკოლაში მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმებისას გამოცხადდეს კონკურსი და ამ გზით მოხდეს პირის შერჩევა სადაც გათვალისწინებული იქნება ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ"მინისტრის N 174ნ ბრძანება და საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ,21-ე მუხლით დადგენილი პირობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულებები; • თანამშრომლებთან ინტერვიუ; • EMIS ბაზა; • კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებული ბრძანებები.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში დოკუმენტების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ თანამშრომელთა შერჩევის ,მიღების და გათავისუფლების წესები რეგულირდება შინაგანაწესით,რომლის მიხედვით დადგენილია სკოლის მიერ დამატებით შერჩევის კრიტერიუმები,თუმცა არ ითვალისწინებს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ 174/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შიდა და გარე კონკურსის ჩატარების პირობებს.დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში მიეცა რეკომენდაცია სისრულეში მოიყვანა შერჩევის წესი, აღსანიშნავია რომ სკოლას 2022 წლის 15 ივნისიდან გამოცხადებული აქვს კონკურსი 5 ვაკანსიაზე: ინგლისური ენის, ისტ, ხელოვნების,მუსიკის და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პოზიციაზე(ექსპერტების მიერ გადამოწმდა მასწავლებლის სახლის ვებ გვერდზეც). აღნიშნული კონკურსის ჩასატარებლად სკოლა ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 15 ივნისის #25, #26 # 27 ბრძანებებით განსაზღვრულია კანონმდებლობის შესაბამისად საკონკურსო პირობები, ვადები და შექმნილია შესაბამისი კომისია. ასევე, დირექციასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ უსტატუსო მასწავლებელთა დიდი ნაწილი დარეგისტრირებულია მასწავლებელთა საგნის გამოცდაზე. შინაგანაწესში წარმოდგენილია ასევე პედაგოგთა ძირითადი მოვალეობანი, სამუშაო დრო და ანაზღაურება. ასევე მითითებულია, რომ პედაგოგის გათავისუფლება ხდება კონტრაქტისა შინაგანაწესის მიხედვით.შინაგანაწესში წარმოდგენილია თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების და სახდელების ჩამონათვალი. წახალისება კი ხდება პედსაბჭოს მიერ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით. სკოლას დამტკიცებული აქვს პედაგოგთა რეიტინგის შეფასების და საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენის დებულება, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადასტურებს მასწავლებელთა წახალისების გამჭვირვალე სისტემის არსებობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • ბრძანებები მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის შესახებ; • პედაგოგთა რეიტინგის შეფასებისა და საუკეთესო; მასწავლებლის გამოვლენის დებულება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	**დაწესებულების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, მაგრამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები. ხელშეკრულებებში არ არის მითითებული მასწავლებელთა სტატუსი და კანონმდებლობით გათვალისწინებული დროებითი აყვანის პირობა უსტატუსო მასწავლებლებთან.** პრობლემურია ხელშეკრულებების ვადაც, ყველა მასწავლებელთან მითითებულია 15.09.2021-დან 01.07.2022 -მდე, ანუ ავტორიზაციის პერიოდისთვის მასწავლებელთა ხელშეკრულებებს ვადა გასდის. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც ანალოგიური გარემოებაა აღწერილი ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. ვიზიტის პერიოდში, სკოლამ განმარტა, რომ ვიზიტის შემდგომ, გაითვალისწინებენ და განახორციელებენ ცვლილებებს ხელშეკრულებებში. **ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა ახალი ხელშეკრულების რამდენიმე ნიმუში, მაგრამ ვერ მოესწრო ყველა თანამშრომელთან ხელშეკრულების ცვლილების გაფორმება. პრობლემას წარმოადგენდა სკოლის ექიმთან დაკავშირებული ხელშეკრულება, რომელიც საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • საშტატო განრიგი; • Emis ბაზიდან თანამშრომელთა მონაცემები.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მექანიზმები.კერძოდ: სკოლას დამტკიცებული აქვს 2017-2023 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც ერთ-ერთ პრიორიტეტად მიჩნეულია პედაგოგთა პროფესიული განვითარება და აღწერილია განვითარების გზები. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგის ჯგუფის დებულება. ასევე, წარმოდგენილია სკოლა-ლიცეუმის პედაგოგთა რეიტინგის შეფასების და საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენის დებულება, რის საფუძველზეც ხდება მასწავლებელთა წახალისება. მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის შემადგენლობის და დამტკიცების საკითხის განხილვა დასტურდება პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმითაც და სკოლის დირექტორის #68 ბრძანებით (2.09.2019). სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების შესაბამისი ცნობები და სერტიფიკატები. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან. მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების პედაგოგიური პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, რაც იმავდროულად ხელს უწყობს სკოლის პედაგოგთა განვითარებასაც. (04.03.2022) სკოლის ბაზაზე პროფესიულ განვითარებას ხელს უწყობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კათედრების მუშაობა და პედაგოგთა ურთიერთთანამშრომლობა, რაც დასტურდება კათედრების ოქმებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ადამიანური რესურსის (ადმინისტრაცია და ტექნიკური/დამხმარე პერსონალის) პროფესიული განვითარების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სტრატეგიული განვითარების გეგმა; • სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგის ჯგუფის დებულება; • პედაგოგთა რეიტინგის შეფასების და საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენის დებულება; • ტრენინგების გავლის დამადასტურებელი ცნობები და სერტიფიკატები; • უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი; • პედაგოგებთან გასაუბრება; • სახანძრო უსაფრთხოებაზე თანამშრომელთა გადამზადების შესახებ ხელშეკრულება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ააიპ საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. როგორც მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ირკვევა, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები თავს უსაფრთხოდ და კომფორტულად გრძნობენ. მოსწავლეები და მშობლები აღნიშნავენ, რომ სკოლაში აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მზრუნველი და ოჯახური გარემო, რომ მასწავლებლები მათ საჭიროებებს მუდამ ითვალისწინებენ და მათგან ინდივიდუალურ დახმარებას იღებენ. სკოლაში სულ 84 მოსწავლეა და კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა, ამიტომ უფრო მეტ ყურადღებას გრძნობენ მოსწავლეები. როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, სკოლაში ტარდება სხვადასხვა საინტერესო კლასგარეშე ღონისძიებები და აქტივობები. ერთ-ერთი წარმატებული პრაქტიკაა სკოლა-ლიცეუმის ჟურნალის „ლიცეუმის ყვავილის“ გამოცემა. ჟურნალის ახალ ნომერში, წარმოდგენილი იყო ლიცეანტთა ნამუშევრების კრებული ომის და მშვიდობის თემაზე, რომელიც ეძღვნებოდა უკრაინის მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუები მოსწავლეებთან, მშობლებთან, სკოლის თანამშრომლებთან; • სკოლა-ლიცეუმის გამოცემული ჟურნალი; • სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	3.2. სკოლაში მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმებისას გამოცხადდეს კონკურსი და ამ გზით მოხდეს პირის შერჩევა სადაც გათვალისწინებული იქნება საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ,21-ე მუხლით და ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ''მინისტრის N 174/ნ ბრძანებით დადგენილი პირობები. 3.4 შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად გააფორმდეს ხელშეკრულება ყველა თანამშრომელთან; 3.4 სკოლამ მოიყვანოს შესაბამისობაში ხელშეკრულებები, საშტატო განრიგი და მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა; 3.4 მოახდინოს ხელშეკრულებების ნუმერაცია და სარეგისტრაციო ჟურნალში მათ აღრიცხვა. .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	სტრუქტურულ ერთეულებს შორის საშემსრულებლო დისციპლინის და დაწესებულების მართვის მენეჯმენტის ეფექტიანობისთვის, რეკომენდებულია სკოლაში გაიმიჯნოს ფუნქციები, ანგარიშვალდებულების ეფექტიანი სისტემა შემუშავდეს და დაინერგოს.
ხარვეზები:	3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არ არიან არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ''მინისტრის N 174/ნ ბრძანების შესაბამისად; 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი
თარიღი 20.07.2022
გვერდების რაოდენობა 56 (ორმოცდათექვსმეტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.